

გეშტალტთერაპიის ტრენინგ ინსტიტუტების და გეშტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციების (გთეო) აკრედიტაცია.

აკრონიმი

გეშტალტთერაპიის ორგანიზაცია	ეროვნული	National Organizations for Gestalt Therapy	გთეო
ევროპული ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია		European Association of Psychotherapy	ეფა
ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის		Training Standards Committee	ტსკ
ფსიქოთერაპევტთა სერტიფიკატის	ევროპული	European Certificate of Psychotherapists	ფეს
ევროპის გეშტალტთერაპიის ასოციაცია		European Association of Gestalt Therapy	ეგთა

1. პრეამბულა

ამ დოკუმენტის საშუალებით ნათელი ხდება თუ როგორ გამოიყენება ევროპის გეშტალტთერაპიის ასოციაციის (ეგთა) ტრენინგ სტანდარტი ტრენინგ ინსტიტუტების, **გეშტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციების (გთეო)** და სხვა პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციისთვის.

ამ დოკუმენტის 2003 წლის ვერსიით (გადასინჯულია 2005 წელს) ეგთა-მ პირველად შესთავაზა ტრენინგ ინსტიტუტებს კვალიფიციური წევრობის შესაძლებლობა. 2007 წლის ბოლომდე, წევრობისთვის ყველა ინსტიტუტს უნდა გაეწყო აკრედიტაციის ეს პროცედურა. ორგანიზაციების უმეტესობამ ეს გააკეთა, რამდენიმე მათგანმა კი შეიცვალა წევრობის კატეგორია და გახდა კოოპერატიული წევრი.

ამ დოკუმენტით ჩანაცვლდა ადრე მიღებული ყველა ტრენინგ სტანდარტი. სტანდარტები აგრეთვე მოიცავს ყველა **ევროპული ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის (ეფა)** ყველა მოთხოვნას. შესაბამისად, ინსტიტუტის სერტიფიცირების შემდეგ, მისი კურსდამთავრებულები ასევე შეძლებენ გახდნენ ეფა-ს წევრები.

შემოთავაზებულია ტრენინგ ინსტიტუტების აკრედიტაციის ორი მეთოდი:

ინსტიტუტებს შეუძლია აირჩიონ

1. თუ სურს გახდეს აკრედიტებული მხოლოდ ეგთა-ის მიერ ან
2. თუ სურს, რომ იმავე პროცედურების მიხედვით, გახდეს აკრედიტებული ეგთა-ის და ეფა-ს მიერ.

ეფა-ს მიერ სერტიფიცირება ხორციელდება მხოლოდ ეგთა-ის სერტიფიცირების შემდეგ. პროცედურების გამარტივების მიზნით, ტრენინგ ინსტიტუტის განაცხადი, რომელსაც სურს მიიღოს ორივე ორგანიზაციის აკრედიტაცია, დამუშავდება გეშტალტის ექსპერტის და ერთი სხვა მიმდინარეობის პირის მიერ, ორივე მათგანი იქნება ეფა-ს ექსპერტების ფონდიდან. თუ ინსტიტუტს სურს მხოლოდ ეგთა-ის აკრედიტაცია, ამ შემთხვევაში აკრედიტაციის პროცესს ამუშავებს გეშტალტთერაპიის ორი ექსპერტი.

აკრედიტაცია მუშავდება ეგთა-ის **ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის (ტსკ)** მიერ.

გთეო-ის და პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციას პროცედურები აღწერს ყველა იმ დოკუმენტს რაც უნდა მომზადდეს აკრედიტაციის მისაღებად. ქვეყნაში უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი გთეო, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის კვალიფიციურ გეშტალტ პრაქტიკოსებს

და შესაბამისად მხარდაჭერა ექნება ქვეყანაში არსებული გემტალტ ტრენინგ-ინსტიტუტების უმრავლესობის მიერ. გთეო-ის აკრედიტაცია ხორციელდება გთეო-ს თავმჯდომარის მონაწილეობით, რომელიც შედის ეგთა-ის აღმასრულებელ კომიტეტში. აკრედიტებული ტრენინგ ინსტიტუტების კურსდამთავრებულები მიიღებენ ეგთა-ის სეტიფიკატს. თუ სურთ ინდივიდუალური წევრობა მათ უნდა შეავსონ ეგთა-ის ინდივიდუალური წევრობის განაცხადი. თუ ინსტიტუტი აკრედიტებულია ეგთა-ს მიერ, ეს ხელს უწყობს ასევე **ფსიქოთერაპევტთა ევროპული სერტიფიკატის (ფეს) გაცემას.**

არა აკრედიტებული ინსტიტუტების კურსდამთავრებულებმა უნდა დაადასტურონ მათ მიერ გემტალტთერაპიაში მიღებული განათლება, რათა მიიღონ ეგთა-ის ან ეგთა-ს ინდივიდუალური წევრის სტატუსი.

ეგთა-ის მიერ აკრედიტაცია განახლებული უნდა იყოს ყოველ 5 წელიწადში. ხოლო ეგთა-ს ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. ეგთა-ს შეუძლია გასცეს აკრედიტაცია გარკვეული პირობებით და შეზღუდული დროით. თუ ეს პირობები არ დაკმაყოფილდება აკრედიტაცია შესაძლოა ჩამოერთვას ინსტიტუტს.

2. ტრენინგ ინსტიტუტი

2.1 ტრენინგ ინსტიტუტი არის ორგანიზაცია, რომლის მიზანია, გემტალტთერაპიის სწავლება ქვეყანაში და გემტალტთერაპევტების განათლების გაუმჯობესება.

2.2 ინსტიტუტი ორგანიზაციაა, რომელიც ფუნქციონირებს ქვეყანაში არსებული კანონიერი და ფორმალური წესების მიხედვით. ინსტიტუტის იურიდიული საფუძველი უნდა იყოს მაგალითად: ფონდი, საზოგადოება ან ორგანიზაციის სხვა სამართლებრივი ფორმები. ინსტიტუტი, როგორც ორგანიზაცია იურიდიულად პასუხისმგებელია სასწავლო პროგრამის ხარისხსა და სტანდარტზე.

2.3 ტრენინგ ინსტიტუტს აქვს მისამართი, ოფისი და სამუშაო ადმინისტრაცია.

2.4 ტრენინგ ინსტიტუტს ფორმა, იძლევა შიდა კონსულტაციების შესაძლებლობას სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით. არსებობს პროცედურა, სადაც აღწერილია თუ როგორ შეუძლია სტუდენტს საკუთარი ინტერესების წარმოჩენა. რეგულარულად იმართება შტატის წევრების შეხვედრები, არსებობს შეხვედრებთან დაკავშირებით შესაბამისი ოქმები.

2.5 მინიმუმ 4 ძირითადი ტრენინგის შემდგარი ჯგუფი თანაბრად პასუხისმგებელია სასწავლო პროგრამის ხარისხზე, შინაარსზე და სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა სხვა კითხვაზე.

თუ მფლობელი და ძირითადი ტრენინგები სხვადასხვა ჯგუფია, სასწავლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შიდა სტრუქტურაში რეგულაცია, რომელიც ძირითად ტრენინგებს ანიჭებს უფლებამოსილებას, გადაწყვიტონ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა კითხვა. ძირითადი ტრენინგების ჯგუფს შესაძლოა ეწოდოს მაგალითად: „სასწავლო საბჭო“.

2.6 ტრენინგ ინსტიტუტი აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის, ფუნქციონირების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

2.7 ტრენინგ ინსტიტუტი მუშაობს გთეო-ის ეთიკის კოდექსის ფარგლებში, თუ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, შესაძლებელია გამოყენებული იქნას ეგთა-ის ეთიკის კოდექსი.

2.8 პროგრამის ყველა სტუდენტმა და ტრენინგმა უნდა შეასრულოს ეთიკის კოდექსი, ეს პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

2.9 არსებობს ინსტიტუტის ისტორიის/შექმნის წერილობითი დოკუმენტი.

2.10 არსებობს ინსტიტუტის გეშტალტის სხვა ორგანიზაციებთან კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.11 ტრენინგ ინსტიტუტის დაწესებულებას გაფორმებული აქვს კონტრაქტები ტრენერებთან და ზედამხედველებთან;

2.12 არსებობს ინდივიდუალური თერაპიისთვის რეკომენდირებული გეშტალტთერაპევტების სია.

2/13 არსებობს რეკომენდირებული სუპერვაიზერების სია.

2.14 სასწავლო დაწესებულება ავრცელებს სტუდენტებისთვის ბროშურებს, განათლების დამადასტურებლად გაიცემა წერილობითი ჩანაწერი.

2.15 აკრედიტაციის მისაღებად, ტრენინგ ინსტიტუტი უნდა არსებობდეს მინიმუმ 5 წელი, დასრულებული უნდა ჰქოდეს მინიმუმ ერთი 4 წლიანი სასწავლო პროგრამა პირველ ჯგუფთან და დაწყებული უნდა ჰქოდეს მინიმუმ ერთი ახალი სასწავლო ჯგუფი.

3, სასწავლო პროგრამის შესახებ.

3.1 ტრენინგ ინსტიტუტს ექნება სასწავლო პროგრამის წერილობითი აღწერა, ამას ეწოდება სასწავლო სახელმძღვანელო.

3.2 სასწავლო სახელმძღვანელოში აღწერილია თუ რა არის საჭირო თითოეულ სემინარსა და ვორკშოფზე.

3.3 სასწავლო ჯგუფების წევრები იცნობენ სასწავლო სახელმძღვანელოს.

3.4 სასწავლო სახელმძღვანელო იძლევა გეშტალტთერაპიის ლიტერატურის აღწერას, რომელიც დაკავშირებულია სწავლებასთან;

3.5 სასწავლო სახელმძღვანელოში აღწერილია თუ როდის და როგორ ხდება ცოდნის შეფასება;

3.6 ერთი ტრენერი არის ტრენინგ პროგრამის კოორდინატორი; მას შეიძლება ეწოდოს უფროსი ტრენერი. თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი უფროსი ტრენერი, მენტორი ან სასწავლო დირექტორი. შესაძლოა, ორი ადამიანი ასრულებდეს ამ ფუნქციას.

3.7 პროგრამას უნდა ჰქოდეს შეფასების სისტემა, ყოველ წლიური გამოცდის სახით ან მისი ექვივალენტური.

3.8 პროგრამა უნდა დასრულდეს, პროგრამის ბოლოს პრეზენტაციით, რეფერატით ან თეზისით;

3.9 პროგრამის ნაწილია ეთიკის კოდექსი, თავისი საჩივრების და გასაჩივრების პროცედურებით, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს პროგრამის ყველა მონაწილემ. ეს პროცედურები მოწმდება ეგთა-ის ეთიკის კომიტეტის მიერ, მისი მიზანია შემოწმდეს არის თუ არა ინსტიტუტის ეთიკის კოდექსი ეგთა-ის კოდექსის შესაბამისი.

3.10 უნდა იყოს მინიმუმ ერთი გარე შემფასებელი, რომელიც მოიხსენიება, როგორც მსმენელი. მას უნდა ჰქოდეს უფლებამოსილება, განაცხადოს რომ კანდიდატმა უნდა შეასრულოს დამატებითი სამუშაო სერტიფიკატის მისაღებად. გარე შემფასებელი შესაძლოა იყოს სხვა ინსტიტუტის კოლეგა ან სხვა კვალიფიციური პირი ვინც დაადასტურებს, პროცედურების სწორად განხორციელებას. ამ პროცედურის მიზანია, უზრუნველყოს სტუდენტების შეფასების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურები. გარე შემფასებელი ამზადებს წერილობით ანგარიშს გარე შეფასების შესახებ. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეგთა-ის და ტსკ-ისთვის.

4.პროგრამაში ჩართვა (არჩევითობა)

გეშტალტთერაპიის პროგრამა განისაზღვრება, როგორც დიპლომის შემდგომი განათლება, ამ პროგრამაში ჩართვისთვის პიროვნებას უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან მისი ექვივალენტური

მომიჯნავე პროფესიაში ან სოციალური მეცნიერებაში (არანაკლებ 2000 საათი). პროგრამაში მონაწილეობის კანდიდატებიდან სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი მშვენიერი მაგალითებია. ნათელია, რომ მომიჯნავე პროფესიებში აუცილებელია დასრულებული იყოს განათლება, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლებლობების და პროგრამების ძალიან ფართო სპექტრია, იმისთვის, რომ გახდეთ დამხმარე პროფესიის მქონე ადამიანი.

რეკომენდირებულია, რომ ყოველ ქვეყანაში გემტალტთერაპიის ეროვნულ ორგანიზაციას ჰქონდეს შესაბამისი კომიტეტი, რომელსაც ექნება უნარი ხალხს მიაწოდოს გემტალტთერაპიის ტრენინგ პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით რეგულაცია. კომიტეტი ასევე აყალიბებს პროგრამაში - გემტალტ კონსულტანტების, მედიატორების და მწვრთნელების მიღების რეგულაციებს. პროფესიული ტრენინგების სფერო იმდენად კომპლექსურია, რომ არ უნდა ველოდოთ, რომ სასწავლო დაწესებულებას ექნება პროგრამების სრულყოფილი მიმოხილვა. ეს უფრო მეტად რთული ხდება, როდესაც ფიქრს ვიწყებთ ევროპულ დონეზე, ამ შემთხვევაში საერთაშორისო დონეზე მოღვაწე ტრენინგ ინსტიტუტს შეუძლია გაუწიოს კონსულტაცია გემტალტთერაპიის ეროვნულ ორგანიზაციას.

5. სასწავლო პროგრამა –ჯამში

სასწავლო პროგრამა შედგება მინიმუმ 1450 საათისგან

- 5.1 600 საათი თეორია და მეთოდოლოგია კეთდება ემპირიულ (ცდებზე დამყარებული) გზით;
- 5.2 150 საათი ზედამხედველობა;
- 5.3 400 საათი კლინიკური პრაქტიკა;
- 5.4 250 საათი პერსონალური თერაპიული გამოცდილება;
- 5.5 50 საათი პერსონალური უპირატესობა.

ეს საკითხები კიდევ იქნება ქვევით განხილული

სასწავლო პროგრამაში ნათლად უნდა იყოს გადმოცემული რა ნაწილია თეორია და მეთოდოლოგია, რა ნაწილია თერაპიული გამოცდილება და რა არის სუპერვიზია რეალურ კლინიკებთან/პაციენტებთან მუშაობაში.

6. თეორიული და ტექნიკური სასწავლო კურსი (600 საათი). 60 წუთი ითვლება ერთ საათად

პროგრამის ფარგლებში უნდა იყოს მინიმუმ 600 საკონტაქტო საათი სულ მცირე 4 სხვადასხვა ტრენერთან მაინც. სასწავლო სტანდარტს აქვს ასევე მიმართულება შინაარსთან მიმართებაში. პროგრამა უნდა ითავლისწინებდეს გემტალტთერაპიის საბაზისო ისტორიულ და თანამედროვე ლიტერატურის ცოდნას. მაგალითად ძირითადი წიგნი: პერლზის, ჰეფერლაინის და გუდმანის გემტალტთერაპია, უნდა მოიცვას შემდეგი შინაარსი:

თეორია და მეთოდოლოგია.

ძირითადი კურიკულუმი

თემა 1. გემტალტთერაპიის ისტორია და საფუძვლები:

ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ფსიქოანალიზი, ეგზისტენციალიზმი, ფენომენოლოგია, გემტალტთერაპია, ადმოსავლური ფილოსოფია.

თემა 2: გემტალტთერაპიის თეორია:

ორგანიზმის/გარემო, სფერო; ფიგურების/მიწის რეზოლუცია; შემოქმედებითი რეგულირება; ცვლილებების მოდელი; ნამდვილობა; კონტაქტი; თვით თეორია; ცნობიერება; პოლარობა; წინააღმდეგობების/ კონტაქტის შეწყვეტა; სამკურნალო პროცესი.

თემა 3. ადამიანის ორგანიზმი და გარემო:

პიროვნების თეორია, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა; ბავშვის განვითარება და თანამედროვე ბავშვთა კვლევები; ადამიანი საზოგადოებაში.

თემა 4. გემტალტთერაპიის ტექნიკა:

ექსპერიმენტი, გაძლიერება, სიზმრებთან მუშაობა და ა.შ

თემა 5. დიაგნოზი:

დიფერენციალური დიაგნოზი; DSM IV; ფსიქოდინამიური დიაგნოზი; გემტალტ დიაგნოზი.

თემა 6. სხვადასხვა კლინიკური თემები:

ფსიქოპათოლოგიის გემტალტ პერსპექტივა; ნევროზი, ფსიქოზი, პიროვნული დარღვევები; შფოთი; განწყობის, ჭამის და ფსიქოსომატური დაავადებები, დამოკიდებულება, შედარებითი მიდგომა.

თემა 7. მიმართვიანობის სფერო და სტრატეგია

ინდივიდუალური, წყვილი, ოჯახური, ჯგუფური, დამოკიდებულება; თერაპიული, თემების, ორგანიზაციების და ა.შ

თემა 8. გემტალტთერაპევტი თერაპიულ კავშირში

გემტალტის გადატანის პერსპექტივა; გადატანის საწინააღმდეგო; დიალოგი, კონტაქტი; თანაკრეატივი; და ინტერ-სუბიექტურობა.

7. ტრენერები

7.1 გემტალტთერაპიის ტრენერი უნდა იყოს მინიმუმ გემტალტთერაპევტად მუშაობის 5 წლიანი გამოცდილების მქონე პირი. მას უნდა ჰქონდეს ეგთა-ის სერტიფიკატი. მას სულ მცირე 2 წელი მაინც, უნდა ჰქონდეს ნამუშევარი უფროსი ტრენერის ხელმძღვანელობით. მას, დადასტურებული უნდა ჰქონდეს ტრენერის საუკეთესო ხარისხის თვისებები გამოცდებით ან სხვა კრიტერიუმებით, როგორც არის ლექციები, პუბლიკაციები ან ტრენერეთა ტრენინგის პროგრამაში ჩართულობა. რეკომენდირებულია, რომ ტრენერი განაგრძობდეს გემტალტთერაპიის განვითარებაში წვლილის შეტანას, სტატიების წერით, კონფერენციებზე პრეზენტაციებით, კვლევებით და ა.შ.

7.2 კურსი უნდა წარმართოს სულ მცირე 4 მა ტრენერმა. ისინი პასუხისმგებელნი პროგრამის ხარისხზე.

7.3 ერთი ტრენერის ფუნქციაა პროგრამის და ასევე ტრენერების კოორდინირება მთელი პროგრამის განმავლობაში. ამ ტრენერს ეწოდება უფროსი ტრენერი. შესაძლებელია რომ ორმა ადამიანმა შეითავსოს ეს ფუნქცია პარტნიორობით.

7.4 უფროს ტრენერს უნდა ჰქონდეს გემტალტთერაპევტად მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება და ასევე დამატებით უნდა იყოს კვალიფიციური ტრენერი. უფროსი ტრენერი უნდა იყოს გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციის წევრი, რომელიც თავის მხრივ არის ეგთა-ის წევრი. (ეგთა-ის სერტიფიკატის მფლობელი). როდესაც ამის შესაძლებლობა არ არის, ყველაზე ხანდაზმული ტრენერი მუშაობს, როგორც უფროსი ტრენერი. ეს მისაღებია მაქსიმუმ 3 წლიან პერიოდში, ტრენინგ პროგრამის დაწყებისთვის.

7.5 ტრენერების ჯგუფი ხვდება რეგულარულად. ერთი თავმჯდომარეობს ამ შეხვედრებს. ინსტიტუტის დოკუმენტაციაში ინახება ამ შეხვედრების ჩანაწერები. ერთ-ერთი მოვალეობაა, რომ ჩამოყალიბდეს შემფასებელთა წლიური საბჭო სწავლების პროცესის განხილვისთვის. რეკომენდირებულია დროდადრო გარე შემფასებლის მონაწილეობა ამ პროცესში .

7.6 უფროსი ტრენერი პიროვნებაა, რომელიც პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ფორმას აწერს ხელს:

- წერიტი გამოცდების წარმატების დეკლარაცია;
- საბოლოო ნამუშევრის წარმატებით დასრულების დეკლარაცია;
- სუპერვიზიის დასრულება;
- საკმარისი პრაქტიკის დეკლარაცია;
- პერსონალური თერაპიის დასრულების დეკლარაცია;

8. კლინიკური პრაქტიკა (400 საათი) , 60 წუთი ითვლება ერთ საათად ჯგუფის შემთხვევაში და 45 -50 წუთი ინდივიდუალურ შემთხვევაში

8.1 პრაქტიკული გამოცდილება არის 400 საათი. ეს ნიშნავს, სულ მცირე 400 სესიას შერჩეულ კლინტებთან/პაციენტებთან (ინდივიდები, ჯგუფები, წყვილები, ოჯახები, უპირატესია თუ მოხდება მათი შერევა).

8.2 პრაქტიკული გამოცდილება ჩვეულებრივ შეიძლება დაიწყოს სასწავლო პროგრამის მეორე წელს ან საკმარისი გამოცდილების შემდეგ, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს უფროსი ტრენერის მიერ, რომელიც გასცემს წერილობით თანხმობას.

8.3 პრაქტიკული გამოცდილება უნდა გავრცელდეს სულ მცირე ორი წლის მანძილზე მაინც.

8.4 პრაქტიკული გამოცდილება უნდა დამტკიცდეს სასწავლო პროგრამის, უფროსი ტრენერის მიერ. დადასტურება უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ინსტიტუტი შეიმუშავებს პრაქტიკის ადგილისთვის კრიტერიუმებს;

8.5 ეს არის თანამშრომლობის განაცხადი სასწავლო პროგრამას და პრაქტიკულ გამოცდილებას შორის, პრაქტიკა უნდა ხორციელდებოდეს, პროფესიისთვის არსებული სტანდარტების ფარგლებში.

კარგად უნდა იყოს აღწერილი სამუშაო პროცედურები, მიღება, დიაგნოზირება, სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები.

აღწერილი უნდა იყოს დამწყებ თერაპევტთან მუშაობის პროცედურები.

სამუშაო შესრულებული უნდა იყოს კვალიფიციური გეშტალტ ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

9. სუპერვიზია (150 საათი) 60 წუთი ითვლება ერთ საათად ჯგუფის შემთხვევაში და 45 -50 წუთი ინდივიდუალურ შემთხვევაში

9.1 სუპერვიზია, სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს არის პროცესი, როდესაც სტუდენტი განიხილავს საკუთარ მუშაობას კლინტებთან/პაციენტებთან, და ეს ეხმარება სტუდენტებს პროფესიულ განვითარებაში.

გეშტალტთერაპევტების სასწავლო პროგრამაში სუპერვიზია ცენტრალური პროცესია. სუპერვიზია განიმარტება, როგორც პროცესი დროში.

9.2 სტუდენტებს სუპერვიზია სჭირდებათ, კლიენტთან ჩატარებულ სულ მცირე ყოველ 4 სესიაში ერთხელ, და უწყვეტობისთვის საჭიროა რომ სუპერვიზიას ახორციელებდეს ერთი და იგივე სუპერვიზორი სულ მცირე ერთი წლის მანძილზე.

9.3 სუპერვიზია არის საგანმანათლებლო პროცესი, რომელსაც წარმართავს გამოცდილი გემტალტთერაპევტი, რომელიც ჩვეულებრივ სერტიფიცირებულია გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციის ან ტრენინგ ინსტიტუტის მიერ. როდესაც არ არის სერტიფიკაციანი სპეციალისტის შესაძლებლობა, მაშინ უნდა იყოს სულ მცირე 8 წლიანი გამოცდილების მქონე გემტალტთერაპევტი.

9.4 სუპერვიზორი უნდა იყოს ეგო-ის სერიტიფიკატის ან ევროპის ფსიქოლოგთა სერტიფიკატის მფლობელი და აუცილებლად გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციის წევრი.

რეკომენდირებულია , რომ არსებობდეს ზედამხედველებისთვის სასწავლო პროგრამა. ამ პროგრამამ უნდა მოიცვას სულ მცირე სწავლების 50 საათი და ჰიპერვიზიის 25 სესია. (=ზედამხედველობის ზედამხედველობა (SOS)).

სუპერვიზორებს უნდა შეეძლოთ თეორიის და პრაქტიკის კომბინაცია. ისინი ამის დემონსტრირებას აკეთებენ სახალხო აქტივობით (ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით/ ან წიგნებით), ლექციებით, კონგრესებზე მონაწილეობით ან ვორქშოპებით. ტრენინგ ინსტიტუტს აქვს სუპერვიზორების სია და ასევე მათი აქტივობების და კონგრესებში მონაწილეობის სია.

სუპერვიზია შესაძლოა გაკეთდეს ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად. ამ ორ ვარიანტს შორის არჩევანის გაკეთება დაწესებულების გადასაწყვეტია, საკუთარი სასწავლო ფილოსოფიის მიხედვით.

9.5 სუპერვიზორი სასწავლო შტატის წევრია და წელიწადში სულ მცირე ერთხელ მაინც აქვს კონტაქტი პროგრამის ტრენერებთან.

9.6 სუპერვიზორმა უნდა გადაწყვიტოს რომელ სტუდენტთან რომელ კლიენტს დასჭირდება სუპერვიზია.

9.7 სუპერვიზორი უფროსი ტრენერისთვის, ამზადებს ანგარიშს ჩატარებული სუპერვიზიის შესახებ ყოველ 25 სესიაში ერთხელ ან სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

9.8 სტუდენტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2 სუპერვიზორთან მუშაობის გამოცდილება.

9.9 სუპერვიზორი შეუძლებელია იყოს იგივე პიროვნება, ვინც არის ტრენერი, პერსონალური თერაპევტი ან ადამიანი ვინც იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტებზე კლინიკური პრაქტიკის კუთხით იგივე პერიოდში. შესაძლებელია, რომ წინა ტრენერი მოგვიანებით გახდეს სუპერვიზორი.

10. პერსონალური თერაპია- ინდივიდუალური თერაპიული გამოცდილება 250 საათი, 60 წუთი ითვლება ერთ საათად ჯგუფის შემთხვევაში და 45 -50 წუთი ინდივიდუალურ შემთხვევაში

10.1 პერსონალური თერაპიული გამოცდილება სავალდებულოა გემტალტთერაპევტად მუშაობისთვის. პერსონალური თერაპია გულისხმობს რომ გემტალტთერაპიის სტუდენტს ჰქონდა შეხება მკურნალობის მეთოდებთან და კლიენტებთან ურთიერთობა. პერსონალური თერაპიის ნაწილი ინტეგრირებულია სასწავლო პროგრამის ემპირიულ ნაწილთან . სულ მცირე 50 საათი მაინც უნდა იყოს გაკეთებული ინდივიდუალურ შემთხვევაში.

10.2 პერსონალური თერაპიული გამოცდილება უნდა მისცეს რეგისტრირებულმა გემტალტთერაპევტმა (ეგო-ის სერტიფიცირებულმა წევრმა და/ან გემტალტის ეროვნული ორგანიზაციის წევრმა). მას უნდა ჰქონდეს გემტალტთერაპევტად მუშაობის, სულ მცირე 5

წლიანი გამოცდილება. იმ შემთხვევაში თუ არ არის ხელმისაწვდომი ასეთი თერაპევტი, მაშინ ქვეყანაში, ყველაზე გამოცდილი გემტალტთერაპევტი იღებს ამ პასუხისმგებლობას. (საჭიროა, გემტალტთერაპევტად მუშაობის, სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.)

10.3 თუ საკმარისად გამოცდილი გემტალტთერაპევტი, როგორც პირადი თერაპევტი ხელმისაწვდომი არ არის, შესაძლებელია, რომ ინდივიდუალური თერაპია ჩაითავალოს, როგორც პერსონალური თერაპია თუ სასწავლო პროგრამის დაწყებიდან გასულია არაუმეტეს ორი წელი. ეს ძირითადი ტრენერების ჯგუფის გადასაწყვეტია. ამ შემთხვევაში უნდა იყოს სულ მცირე 25 ინდივიდუალური სესია გემტალტთერაპევტთან.

10.4 თერაპევტი, უფროსი ტრენერისთვის აკეთებს დეკლარაციას, ჩატარებული სესიების რაონდენობასა და დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

10.5 შესაძლებელია, რომ ინდივიდუალური სამუშაო გაკეთდეს ორ სხვადასხვა თერაპევტთან (არა ერთი და იმავე დროს). პერსონალური თერაპიული გამოცდილება უნდა გაგრძელდეს რამდენიმე წელი და სასწავლო პროგრამაში, ნაწილობრივ ჩართულია გემტალტის ჯგუფური თერაპიის ფორმაში, ნაწილობრივ კი ეს უნდა გაკეთდეს როგორც ინდივიდუალური თერაპია

11. თავისუფალი არჩევის 50 საათი

საათები უნდა გაკეთდეს გემტალტთერაპიის სფეროში და ხელი უნდა შეუწყოს გემტალტთერაპიაში მუშაობის სხვადასხვა სტილის გამოცდილების დაგროვებას. ამიტომ სტუდენტების გაცვლა ევროპის აკრედიტებულ ინსტიტუტებთან მისასაღმებელია.

ეს არის საკონტაქტო საათები, ის შეიძლება გაკეთდეს სასწავლო პროგრამის დროს ან მის შემდეგ. საათები უნდა დაამტკიცოს უფროსმა ტრენერმა ან ეროვნულმა ორგანიზაციამ, საათებზე უნდა იყოს წერილობითი დეკლარაცია.

12. გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაცია (გთეო) და ტრენინგ ინსტიტუტის აკრედიტაცია

12.1 გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაცია (გთეო) არის ორგანო, რომელსაც ეგთა-ის მიერ მინიჭებული აქვს უფლება წარადგინოს გემტალტთერაპია ამ ქვეყანაში. ის არის ეროვნული “ქოლგა” ორგანიზაცია, სტრუქტურულად და სამართლებრივად დამოუკიდებელი ნებისმიერი სასწავლო დაწესებულებისგან.

12.2 ტრენინგ ინსტიტუტების და ინდივიდუალური გემტალტთერაპევტების უმრავლესობა მხარს უჭერს ეროვნულ ორგანიზაციას.

12.3 გთეო, მისი ცალკეული წევრებისთვის მოქმედებს, როგორც პროფესიული ორგანიზაცია და ხელს უწყობს და მხარს უჭერს ქვეყანაში გემტალტთერაპიას.

12.4 გთეო აქვს ოფიციალური სტრუქტურა და რეგისტრირებულია ოფიციალურად. ის უნდა იყოს ეგთა-ის მიერ აკრედიტებული წევრი ორგანიზაცია. ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ დანიშნონ საბჭო, ტარდება რეგულარული შეხვედრები, არის ოფისი და არსებობს ოფიციალური დოკუმენტაცია ორგანიზაციის შესახებ.

12.5 გთეო-ს აქვს ეთიკის კოდექსი და საჩივრების და გასაჩივრების პროცედურები ეგთა-ის დონეზე. ეგთა-ი გადაამოწმებს ამ დოკუმენტებს და საჭიროების შემთხვევაში შესთავაზებს წინადადებებს დასარეგულირებლად.

12.6 ეგთა თითო ქვეყნიდან მიიღებს მხოლოდ ერთ პროფესიულ ქოლგა ორგანიზაციას, როგორც ოფიციალურ გთეო-ს. თუ არსებობს კონკურენტი ორგანიზაციები, ეგთა დაეხმარება ისეთი გამოსავლის მოძიებაში რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისთვის. თუ ეს ვერ მოხერხდა

მაშინ ეგთა-ი გადაწყვეტს, თუ რომელი ორგანიზაცია იქნება გთეო და რომელი წარმოადგენს ქვეყანას ეგთა-ში, ის აირჩევს ერთ საუკეთესოს, რომელიც უკეთ აკმაყოფილებს გთეო-ის კრიტერიუმებს.

12.7 ყველა გთეო-ს ჰყავს წარმომადგენელი ეგთა-ის საბჭოში.

12.8 გთეო-ს ყოველთვის ჰყავს ინდივიდუალური წევრები და ღია უნდა იყოს გემტალტთერაპევტებისთვის. მთავარია ისინი აკმაყოფილებდნენ ეგთა-ის განათლების დონეს, იმის მიუხედავად თუ რომელი ინსტიტუტში მიიღეს მათ განათლება. მას ასევე შესაძლოა ჰქონდეს ინსტიტუციური წევრობის კატეგორია, როგორცაა სასწავლო დაწესებულებები, თუმცა ეს აუცილებელი პირობა არ არის.

12.9 გთეო-ს აქვს წევრობის მკაფიო კრიტერიუმები სხვადასხვა კატეგორიაში.

12.10 გთეო მონაწილეობას მიიღებს ეგთა-ის სახელით ინდივიდუალურ აკრედიტაციაში და ასევე სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესში. გთეო-ს შეუძლია შექმნას ინსტიტუტების და პროგრამების აკრედიტაციის კომიტეტი, რომელიც ეგთა-ის მიერ ჩართული იქნება ინსტიტუტების აკრედიტაციის პროცესში. ეს კომიტეტი ასევე დაადგენს გემტალტ კონსულტანტების, მედიატორების და მწვრთნელების პროგრამაზე მიღების რეგულაციებს.

12.11 გთეო შეუერთდება ფსიქოტერაპევტთა ევროპის ასოციაციის, რომელიც წარმოადგენს გემტალტთერაპევტების, გემტალტთერაპიისა და გემტალტის ტრენინგ ინსტიტუტების ინტერესებს.

12.12 ქვეყნებში, სადაც ჯერ არ არის გთეო, ან არის კონკურენტი ორგანიზაციები, ეგთა მზად არის მიიღოს დროებითი გადაწყვეტილება 4 წლის ვადით. ეს გადაწყვეტილება ვარიებს ქვეყნების მიხედვით. ეგთა დაეხმარება, რომ ქვეყნებში შეიქმნას კომიტეტი, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს ეროვნულ ორგანიზაციას, რომელიც წარმოადგენს ქვეყანას. ეს კომიტეტი იფუნქციონირებს, როგორც დროებითი აკრედიტაციის ორგანიზაცია ქვეყანაში სასწავლო დაწესებულებებისთვის.

ასევე შესაძლებელია, რომ ეგთა-მ რომელიმე სასწავლო დაწესებულებას სთხოვოს, დროებით გააკეთოს ეს სამუშაო. თუ ტრენერებს არ შესწევთ უნარი შექმნან ამგვარი კომიტეტი, შესაძლებელია სტუდენტებმა ჩამოაყალიბონ ეგთა-ის მხარდაჭერით.

12.13 თითოეულ ქვეყანას შეუძლია შეიმუშაოს პროცედურები, რომელიც შესაბამისობაშია ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან, ეს პროცედურები უნდა დამტკიცდეს ეგთა-ის თავმჯდომარის და ასევე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

12.14 პროფესიულ ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ რომ გახდნენ გთეო, ეგთა-ის ოფისში უნდა გამოაგზავნონ სწორად შევსებული განაცხადის ფორმა, ყველა საჭირო თანდართული დოკუმენტებით. გთეო-ის თავმჯდომარე დაამუშავებს ამ ფაილებს. აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ეგთა-ის აღმასრულებელი კომიტეტი.

12.15 ტრენინგ ინსტიტუტი, რომელიც ითხოვს აკრედიტაციას, ეგთა-ის ოფისში უნდა გამოაგზავნონ სწორად შევსებული განაცხადის ფორმა, ყველა საჭირო თანდართული დოკუმენტებით. ეს გადაიგზავნება ტრენინგების სტანდარტების კომიტეტში (ტსკ). დოკუმენტაციის დამუშავებსა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია ეს კომიტეტი, ის უზრუნველყოფს გთეო-ის ჩართვას პროცესში.

13. უწყვეტი განათლება და გემტალტის ევროპული სერტიფიკატი.

13.1 გემტალტთერაპევტის განათლება სასწავლო პროგრამის დამთავრებით არ სრულდება. პროფესიული განვითარებისთვის საჭიროა კიდევ მეტი. ასე რომ გემტალტთერაპევტებს

სჭირდებათ განაგრძონ საკუთარი განვითარება. ასევე სასწავლო დაწესებულებები და გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციებიც იცვლება და ვითარდება.

13.2 სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი საჭიროებს განახლებას ყოველ 5 წელში ერთხელ.

13.3 გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციების სერტიფიკატი საჭიროებს განახლებას ყოველ 5 წელში.

13.4 გემტალტთერაპევტის სერტიფიკატიც საჭიროებს განახლებას ყოველ 5 წელში.

13.5 ამ 5 წელიწადში ეგთა-ის წევრები უნდა მონაწილეობდნენ უწყვეტი განათლების 100 საათში, რომელიც ჩვეულებრივ იყოფა შემდეგნაირად:

- 20 საათი სუპერვიზია
- 30 საათი კონგრესები, სემინარები, კურსები, ვორქშოფები
- 50 საათი ინტერვიზია, საკუთარი, როგორც თერაპევტად ან როგორც გემტალტთერაპიის მასწავლებლად მუშაობის შესახებ კოლეგების ჯგუფში მუშაობა, გემტალტთერაპიის შესახებ სტატიების წერა, მეცნიერული სამუშაო.

ამ ყველა აქტივობაზე საჭიროა წერილობითი დეკლარაცია.

დამატება 1

სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი

1. გემტალტთერაპიის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ეგთა-ის მიერ ხდება მხოლოდ ეგთა-ის პასუხისმგებლობით.
2. საბოლოო აკრედიტაციას წყვეტს ეგთა-ის ტრენინგ სტანდარტების კომიტეტი (ტსკ)
3. ტსკ წყვეტს გთეო-ის წერილობით რჩევის მიხედვით, თუ არის ასეთი ორგანიზაცია;
4. კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, ეგთა-ის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას;
5. ეგთა-ის წევრების შეხვედრაზე იქმნება ტრენინგის სტანდარტების კომიტეტი;
6. გთეო-ს შეუძლია ჩამოაყალიბოს ინსტიტუტების აკრედიტაციისთვის კომიტეტი. ტსკ ჩართავს ამ კომიტეტს სასწავლო დაწესებულების აკრედიტაციის პროცესში. ასეთი კომიტეტის არ არსებობის შემთხვევაში, გთეო-ის საბჭო იქნება კონსულტანტი.
7. სასწავლო დაწესებულება ითხოვს აკრედიტაციას, შესაბამისი დოკუმენტაციის და კითხვარზე გაცემული პასუხების (იხილეთ დამატება ორი) გაგზავნით ეგთა-ის ოფისში, იგზავნება 4 ასლი. აქედან საბუთები გადამისამართდება ტრენინგების სტანდარტების კომიტეტში და ვიზიტების განმახორციელებელი კომიტეტის ორ წევრთან. ყველანაირი წერილობითი დოკუმენტაცია უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.
8. თუ ინსტიტუტს სურს რომ იმავ დროულად იყოს აკრედიტებული ეფა-ს მიერ, ამ შემთხვევაში უნდა გაგზავნოს 2 ასლი ეგთა-ის ოფისში და 3 ასლი ეფა-ს სამდივნოში. ისინი გადააგზავნიან თითოს ეგზემპლარს თითო ვიზიტორთან, რომელიც დაინიშნება ეფა-ს ტრენინგების აკრედიტაციის კომიტეტი (ტაკ) მიერ.
9. აუცილებლად უნდა იყოს ფორმალური პირისპირ შეხვედრა ინსტიტუტთან. ვიზიტი უნდა განხორციელდეს ორი ექსპერტის მიერ. ერთი დანიშნულია გთეო-ის მიერ, ერთი კი ტსკ-ის მიერ. ვიზიტის კომიტეტი განიხილავს მასალას, და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებით ახსნა განმარტებებს. ეს კომიტეტი ხვდება ინსტიტუტის დირექტორს, ტრენერებს და სტუდენტებს. თუ ეფა-ს აკრედიტაციაც სურს ინსტიტუტს, ვიზიტორები დაინიშნება ეფა-ს ტაკ-

ის მიერ. ერთი იქნება იმავე ქვეყნიდან, მეორე კი საზღვარგარეთიდან. ერთი წარმოადგენს გეშტალტთერაპიას, მეორე კი მოდალობას.

10. ვიზიტორების კომიტეტი ამზადებს ფორმალურ ანგარიშს. ეს ანგარიში მოიცავს მასალების შეფასებას და ასევე ინსტიტუტის დირექტორთან, ტრენერებთან და სტუდენტებთან პირისპირ დიალოგებს. ვიზიტორთა კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს პირობები, რეკომენდაციები და ასევე შეთავაზებები. ეს ანგარიში გაეგზავნება გთეო-ს თუ არის ასეთი. ის ასევე გაიგზავნე ტსკ-ში, რომელიც გადაწყვეტს აკრედიტაციას. თუ ევა-ს აკრედიტაციის მოთხოვნაც არის, ანგარიში გაიგზავნება პირველად გთეო-ში და მერე ტსკ-ში, რომელიც ევა-ს სახელით გადაწყვეტს, და მერე ტსკ-ში, რომელიც გადაწყვეტს ევა-ის სახელით. ევა-ს და ევა-ს შეუძლიათ გასცენ აკრედიტაცია გარკვეული პირობების სანაცვლოდ. პირობები აღწერილი იქნება და უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეულ პერიოდში. ამ პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინსტიტუტს შეუჩერდება აკრედიტაცია.

11. აკრედიტაცია ძალაშია გაცემიდან 5 წლის ვადით. 5 წლის გასვლის შემდეგ აკრედიტაცია უნდა განახლდეს.

12. აკრედიტაციის საბოლოო დოკუმენტი გამოიგზავნება ევა-ის ოფის მენეჯერის მიერ. ხოლო ევა-ს აკრედიტაცია ევა-ს სათაო ოფისიდან.

13. აკრედიტაციის პროცესის ყველა დოკუმენტი ინახება ტრენინგ ინსტიტუტების არქივში, რომელიც არის ევა-ის ოფისში.

14. ყველა ტრენინგ ინსტიტუტი რომელიც ითხოვს აკრედიტაციას მაგრამ ჯერ არ არის ევა-ის წევრი, მყისიერად ხდება ევა-ის ასოცირებული წევრი.

15. ევა-ის ჩვეულებრივი წევრი ხდება მხოლოდ აკრედიტებული სასწავლებელი. სასწავლებლები, რომლებიც აკრედიტაციის პროცესში არიან შეუძლიათ ითხოვონ ასოცირებული წევრობა. სასწავლებელი, რომელიც არ ითხოვს აკრედიტაციას, მაგრამ უნდა რომ იყოს ევა-ის თან კოოპერატიულ ურთიერთობაში სთხოვს ევა-ის კოოპერატიულ წევრობას.

დამატება II

ტრენინგ ინსტიტუტის კითხვარი

თითოეული კითხვარს სჭირდება ევა-ის ნომერს პლუს: წელი, თვე, ქვეყანა, პლუს სპეციალური ნომერი. აღნიშნული ნომერს გასცემს ევა-ის ოფისის მენეჯერი.

1 . თითოეულ ინსტიტუტზე ინფორმაცია უნდა შეგროვდეს შემდეგნაირად:

- 1.1. წერილობითი კითხვარი
- 1.2. დოკუმენტაციის კომპლექტი
- 1.3. ვიზიტი ინსტიტუტში

2 . კითხვარის სახელმძღვანელო

2.1. ეს კითხვარი შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ევა-ის ვებ გვერდიდან. კითხვარი იქნება დანომრილი. ნომრები გაიცემა ევა-ის ოფის მენეჯერის მიერ, როგორც კი განაცხადი მიაღწევს მასთან. ეს ნომერი შეიძლება იყოს გამოყენებული კორესპონდენციაში . ნომერი საჭიროა ევა-ის არქივისთვის.

3 . ინსტიტუტის სახელი :

- 3.1. სრული სახელი და შემოკლებული სახელწოდება (აბრევიატურა)
- 3.2. მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა; ვებ გვერდი
- 3.3. საკონტაქტო პირი

4 . დაბეჭდილი დოკუმენტაცია

- 4.1. რეკლამა
- 4.2. პროგრამა / კურიკულუმი
- 4.3. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის
- 4.4 სტუდენტების გადასახადი (წელიწადში, ევროში)
- 4.5 მსმენელების წარმომადგენლობა სასწავლო დაწესებულების სტრუქტურაში
- 4.6 საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის წლიური ანგარიში
- 4.7 გარე შემფასებლის ანგარიში
- 4.8 სხვა

5 . ინსტიტუტის ზოგიერთი მონაცემი

- 5.1 დაარსების თარიღი და სამართლებრივი ფორმა (თან დაურეთეთ დოკუმენტები)
- 5.2. ინსტიტუტის ისტორია (თან დაურეთეთ დოკუმენტები)
- 5.3. რამდენი მსმენელია რეგისტრირებული ამ მომენტში თქვენს ინსტიტუტში (მათ შორის სხვადასხვა დონეზე)?
- 5.4. ინსტიტუტის გახსნიდან რამდენ მსმენელს აქვს მიღებული სერტიფიკატი, როგორც ფსიქოთერაპევტს?

6 .ფაკულტეტი (შტატი)

- 6.1. რამდენი ტრენერია ჩართული თქვენს ინსტიტუტში (სრულად და / ან ნაწილობრივ)? (საჭიროა მინიმუმ 4) თან დაურეთეთ სია და CV
- 6.2. რომელი ტრენერები არიან ფეა-ს ან ეგთა-სერტიფიკატის მფლობელები? (მინიმუმ 2 ფეა-ს მფლობელია საჭირო ფეა ის აკრედიტაციისთვის და ეგთა- აკრედიტაციისთვის ყველა ტრენერები უნდა იყოს ეგთა წევრი)
- 6.3. აღწერეთ ტრენინგები და ტრენერების გამოცდილება, როგორ გახდნენ ტრენერები?
- 6.4. გაიარეს თუ არა მათ ტრენინგი ტრენერებისთვის მოსამზადებელი პროგრამა?
- 6.5. გაიარეს თუ არა თქვენმა მეთვალყურეებმა დამატებით პროგრამა რომ გამხადრიყვნენ ზედამხედველები (გთხოვთ აღწერთ)? თუ არ გაუვლიათ, რა არის ზედამხედველის დანიშვნისთვის თქვენი კრიტერიუმები?
- 6.6. რა საგანმანათლებლო პროგრამებში იყვნენ ჩართულნი თქვენი ტრენერები და ზედამხედველების უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში?
- 6.7. გამოგზავნეთ ზოგიერთი ნიმუში იმ სტატიების ან პუბლიკაციების, რომელიც გამოქვეყნებულია ტრენერების და ზედამხედველების მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში. თან დაურეთეთ, თქვენი ტრენერების და მეთვალყურეების პუბლიკაციების სია.
- 6.8 თან დაურეთეთ, ინდივიდუალური თერაპევტების და ზედამხედველების სია, ასევე მათი CV, პროფესიული და მიმდინარე განათლების აღწერა (ყველა ხელმძღვანელი და პირადი თერაპევტი უნდა იყოს ეგთა- ან გთეო წევრები).
- 6.9. გამოგზავნეთ კონტრაქტების ნიმუშები , რომელიც გაფორმებულია თქვენს ტრენერებთან, ზედამხედველებთან და პირად თერაპევტებთან.

7 . სასწავლო პროგრამა

მინიმუმ 4 სასწავლო წელი = 1,450 საათი

- 7.1 აღწერეთ თუ განათლების რა დონეს უნდა აკმაყოფილებდეს ფსიქოთერაპევტი საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვისთვის (მინიმალური: ბაკალავრის ხარისხი დამხმარე ან ექვივალენტური პროფესიის სფეროში).

7.2. პირადი ფსიქოთერაპიული გამოცდილების 250 საათი.

არანაკლებ 50 საათი უნდა გაკეთდეს ინდივიდუალურ ჭრილში.

7.3. თეორიის ან მეთოდოლოგიის 600 საათი - მათ შორის ფსიქოპათოლოგია –მოდალობის ჩვეულებრივი სტანდარტის მიხედვით.

7.4. პაციენტებთან კლინიკური პრაქტიკის 400 საათი

- ან ფსიქიკური ან სოციალური ჯანმრთელობის ფარგლებში, ან მისი ექვივალენტი

- ან ინდივიდუალური კლიენტებთან / პაციენტებთან, ოჯახებსა ან ჯგუფებთან, რეგულარული ზედამხედველობით

7.5. რეალურ პაციენტებთან თერაპიის 150 საათი, ზედამხედველობით.

7.6. პირადი უპირატესობის (თავისუფალი არჩევანი)50 საათი

თანდაურთეთ დოკუმენტები.

8. შეფასება

8.1. აღწერეთ თქვენი ყოველწლიური შეფასების პროცედურა.

8.2. აღწერეთ ბოლო სერტიფიცირების პროცედურა.

8.3. სერტიფიცირების საბჭოში არ უნდა შედიოდეს აღსაზრდელების თერაპევტები .

8.4. სერტიფიცირების საბჭოში უნდა შედიოდეს მინიმუმ ერთი ექსპერტი, რომელიც არ არის თქვენი ინსტიტუტის ტრენერი. ვინ არის და როგორ არის ის ჩართული?

8.5. გამოგზავნეთ თქვენი მსმენელების საბოლოო წერილობითი მუშაობის ნიმუშები.

9. ეთიკის გაიდლაინი (სახელმძღვანელო)

ინსტიტუტმა და მისმა ტრენერებმა უნდა დაიცვან ეთიკის სახელმძღვანელო და ეროვნული ეთიკის კოდექსი.

ნათელი უნდა იყოს საჩივრების პროცედურა. თანდაურთეთ შესაბამისი დოკუმენტები. ეთიკის კოდექსი და პროცედურები გადამოწმებული იქნება ეთიკის ეთიკური კომიტეტის მიერ. თან დაურთეთ თანამშრომლებთან, ზედამხედველებთან და პირად თერაპევტებთან გაფორმებული კონტრაქტების მაგალითები. ასევე დოკუმენტები რომელიც აჩვენებს , რომ ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას ეს პრინციპები და პროცედურები.

10. პროფესიული ჩართულობა

სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობა (ინსტიტუტი ან / და პერსონალი)

ასოციაციების, სამეცნიერო კომიტეტების, ჟურნალების და ა.შ სია

კონტაქტი (საერთაშორისო) გემტალტის საზოგადოებასთან და თქვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასთან .

აღწერეთ ჩართულობის ფორმა.

დაურთეთ დოკუმენტები

11. დაწესებულება

მოგვაწოდეთ შეხვედრის ოთახების, ოფისების, მისაღების, სასადილოს და სამზარეულო ტერიტორიის მოკლე აღწერა

12. ადგილზე ვიზიტი

12.1. ადგილზე ვიზიტს განახორციელებს ორი დამოუკიდებელი ექსპერტი. ისინი მოამზადებენ ვიზიტს წინასწარ წერილის გაგზავნით.

12.2 კითხვები იქნება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ბროშურები და ფლაერები

- სასწავლო პროგრამა

- ინდივიდუალური ფაილები მსმენელებისთვის
 - სასწავლო პერსონალის რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრები
 - ბიბლიოთეკა
 - ბიუჯეტის / ბალანსი
 - რაიმე სხვა სახის კითხვები, მიწოდებული დოკუმენტებიდან გამომდინარე
- 12.3. ყველა სხვა ზემოთ აღნიშნული საკითხები.

12.4 იქნება ცალკე შეხვედრები:

- ინსტიტუტის დირექტორთან
- სასწავლო შტატთან (ტრენერები / სუპერვაიზორები/ პირადი თერაპევტი)
- პრაქტიკანტებთან და კურსდამთავრებულებთან

13 . გადასახადები

13.1 გადასახდელი საფასურია 900 ევრო – რომელიც იყოფა შემდეგნაირად :

- € 300 - თითოეული ვიზიტის მონაწილე ექსპერტისთვის
- € 200, - ეგთა-სთვის
- € 100 ეროვნული ორგანიზაციისთვის

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებები და მცირე ინსტიტუტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გადაიხადის € 500, - რომელიც შემდეგნაირად გაიყოფა:

- € 150 - თითოეული ვიზიტის მონაწილე ექსპერტისთვის
- € 150 - ეგთა-ს
- € 50, - ეროვნულ ორგანიზაციას.

შენიშვნა:

ამ თანხაში არ შედის ვიზიტის განმახორციელებელი კომიტეტის მგზავრობის და ცხოვრების ხარჯები.

50 ადამიანზე ნაკლები ითვლება პატარა ორგანიზაციად (€ 500, -), 50 კაცზე მეტი არის დიდი ორგანიზაცია (€ 900, -) გამორიცხულია პირველი წლიური საფასური € 125.

ორგანიზაციის ზომას ჩვენ ვითვლით შემდეგნაირად:

საბჭოს და თანამშრომლების, ტრენერების, მასწავლებლების, მეთვალყურეების და სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (როდესაც კურსდამთავრებულებიც წევრები არიან, ისინიც ითვლებიან), რაოდენობაში არ შედის , საპატიო წევრები, ადმინისტრატორები და მდივნები.

14 პროცედურები

14.1. ამ ვიზიტის შემდეგ, ვიზიტორი აკეთებს ანგარიშს, რომელიც პირველად ეგზავნება ინსტიტუტს, შემდეგ მიდის ეროვნული ორგანიზაციაში, რომელიც უგზავნის მას CS რომელიც გადაწყვეტს. თუ ასევე მოთხოვნილია ეფა-ს აკრედიტაცია, ანგარიში გაიგზავნება ტსკ, რომელიც გადაწყვეტს ეგთა-ის სახელით

დამატება III

ტრენინგ ინსტიტუტში ვიზიტის პროცედურები

შესავალი

აკრედიტაციის მიზანია, რომ დავრწმუნდეთ, რომ ევროპაში გემტალტის ტრენინგის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყანაში ერთნაირი ხარისხით მიდის სწავლება. ევროპის დონის აკრედიტაციის ქონა, მიაწინებს რომ ჩვენ თავს აღვიქვამთ სერიოზულად და გვსურს, რომ ვეკუთვნოდეთ ერთნაირი სტანდარტების მქონე თერაპევტების ჯგუფს.

ვიზიტების განხორციელებით ჩვენ ვაყალიბებთ თანასწორთა შეფასების სისტემას.

პროცესი მუდმივ ცვლილებას განიცდის, ეგთა-ის ტრენინგების სტანდარტების კომიტეტი ვალდებულია რომ გადახედოს და განაახლოს პროცედურები, როდესაც ეს საჭიროა.

პასუხისმგებლობა

ტრენინგების სტანდარტების კომიტეტი პასუხისმგებელია აკრედიტაციაზე. წევრების შეხვედრაზე ხდება ტრენინგების სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარის და წევრების არჩევა . ეს კომიტეტი წყვეტს საბოლოო აკრედიტაციას. კონფლიქტის შემთხვევაში საკითხს წყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი.

ინფორმაცია და სამუშაო დინება

ბევრი წერილობითი ინფორმაცია და დოკუმენტაციაა საჭირო ინსტიტუტიდან/ტრენინგ პროგრამიდან რომელსაც უნდა რომ მიიღოს გემტალტთერაპიის ევროპული ტრენინგის სტანდარტი.

ყველა მასალა უნდა იყოს კომპიუტერში, microsoft word ან PDF ში აკრეფილი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი იმეილებით გავრცელება ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის წევრებისთვის.

ეგთა-ის სამუშაო ენაა ინგლისური, ამიტომ მნიშვნელოვანია რომ შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებული იყო ინგლისურად. შეუძლებელია 28 სხვადასხვა ენაზე მუშაობა.

ინფორმაციის დამუშავება კომპლექსური პროცესია:

1. ინსტიტუტი აგროვებს ყველა საჭირო ინფორმაციას.
2. ამ ინფორმაციის 4 ასლი, აკრედიტაციის მოთხოვნით, უნდა გაიგზავნოს ეგთა-ის ოფისში. თუ ასევე სასურველია ფეა-ის აკრედიტაცია, მაშინ 2 ასლი იგზავნება ეგთა-ის ოფისში და 3 ასლი ფეა-ს სათაო ოფისში.
3. თუ მხოლოდ ეგთა-ის აკრედიტაციის მოთხოვნაა, გთეო-ის მოთხოვნ რომ დანიშნოს ერთი შემფასებელი, ხოლო ტრენინგების სტანდარტების კომიტეტი დანიშნავს მეორეს. ეროვნულ ორგანიზაციას შეუძლია მისცეს რჩევა მეორე შემფასებელის შესახებ. ჩვეულებრივ ერთი იმავე ქვეყნის წარმომადგენელია, ხოლო მეორე სხვა ქვეყნის. ეს ორი შემფასებელი არის ვიზიტორთა კომიტეტი. თუ მოთხოვნილია ეგთა-ს აკრედიტაციაც მაშინ ტრენინგ სტანდარტების კომიტეტი და ეგთა დანიშნავს 2 ექსპერტს, ერთი წარმომადგენს გემტალტ თერაპიას (და ეგთა), ხოლო მეორე სხვა მოდალობას.
4. ვიზიტორთა კომიტეტი, რაც შეიძლება მალე აკეთებს შეხვედრის დანიშვნას ინსტიტუტთან. ეს ხდება 2 თვეში.
5. ამ ვიზიტის ანგარიში პირველად იგზავნება უკან ინსტიტუტში, რომ შემოწმდეს ინფორმაციის სისწორე და შემდეგ გაიგზავნება ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარესთან, რომელიც გადაგზავნის დოკუმენტს გთეო-ში.
6. გთეო-ია დოკუმენტს, ვიზიტორთა კომიტეტის ანგარიშის საფუძველზე, აკრედიტაციის თანხმობასთან დაკავშირებით, საკუთარი კომენტარებით უკან გადმოგზავნის ტრენინგ სტანდარტების კომიტეტში .
7. ტრენინგ სტანდარტების კომიტეტი, შემდეგ შეხვედრაზე, განიხილავს ანგარიშს და გთეო-ის კომენტარებს და გადაწყვეტს.
8. აკრედიტაციის დოკუმენტები გაიგზავნება ეგთა-ის ოფისს მენეჯერს რომ შეინახოს ეგთა-ის , ტრენინგ ინსტიტუტების არქივში.

9. თუ ევა-ის აკრედიტაციაც არის მოთხოვნილი, ეგთა-ის თავმჯდომარე გაგზავნის ვიზიტორთა კომიტეტის ანგარიშს ევა-ს ტსკ-ში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაიმართოს სერიოზული დიალოგები. დიალოგი მიმდინარეობს ინსტიტუტის წარმომადგენლებთან: პროგრამის დირექტორთან-უფროსს ტრენერთან, ტრენერებთან/მასწავლებლებთან და პროგრამის სტუდენტებთან. ვიზიტორების კომიტეტს შეხვედრები ექნება ამ ხალხთან ან მის წარმომადგენლებთან. ვიზიტის მიზანია, რომ შეფასდეს ინსტიტუტი და სასწავლო პროგრამაში ჩართული ელემენტები.

შემფასებლები (ვიზიტორთა კომიტეტი)

ვიზიტს განახორციელებს 2 შემფასებელი. ისინი უნდა იყვნენ გემტალტთერაპიის ტრენინგების ექსპერტები. უნდა ჰქონდეთ გემტალტთერაპევტად მუშაობის სულ მცირე 10 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, უნდა ჰქონდეთ ეგთა-ის და ევა-ს სერტიფიკატები და ტრენერად და ზედამხედველად მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება.

ევა-ს სერტიფიცირების შემთხვევაში ერთ შემფასებელს უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლება სხვა მოდალობაში (არა გემტალტთერაპიაში). შემფასებლები იღებენ შეფასებაზე პასუხისმგებლობას. ისინი შეხვედრებს ამზადებენ წერილობით, რომელიც შეიცავს კითხვებს და თემებს რომელიც უნდა იქნას განხილული. ისინი უძღვებიან შეხვედრებს.

ერთი შემფასებელი ინიშნება გთეო-ის მიერ ან ამ ორგანიზაციის ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის მიერ, მეორე კი ეგთა-ის ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის მიერ. გარკვეული ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ვიზიტორების კომიტეტი იყოს დამოუკიდებელი. თუ არ არის გთეო, ტსკ ნიშნავს ორივე ექსპერტს.

თუ მოთხოვნილია ასე ევა-ს აკრედიტაცია დაინიშნება ორი შემფასებელი ტსკ ოფ მიერ. ვიზიტორების დანიშვნა ხდება მას შემდეგ, რაც შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია მიაღწევს ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარესთან და შემოწმდება მის მიერ, თუ საჭიროა რომ დაემატოს რაიმე დოკუმენტი.

ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლოა შემფასებლები დაინიშნონ სხვა სახით.

ამისთვის საჭიროა ეგთა-ის ტრენინგების სტანდარტების კომიტეტის წერილობითი მხარდაჭერა. ვიზიტორები იმდენად უნდა იყვნენ ორგანიზებულნი, რომ პროცესი გაკეთდეს ერთ სამუშაო დღეში.

შემფასებლები ამზადებენ ანგარიშს, რომელიც ეგზავნება მონაწილე მხარეებს, როგორც ზევით იყო აღწერილი.

ფაქტობრივ აკრედიტაციას იძლევა ტრენინგების სტანდარტების კომიტეტი. აკრედიტაცია გაიცემა 5 წლის ვადით. ეგთა-ის ოფისი აწარმოებს აკრედიტებული ინსტიტუტების სიას.

ფაქტობრივი აკრედიტაცია უნდა იყოს წერილობითი ანგარიში, სერტიფიკატის სახით.

ის ხელმოწერილია ეგთა-ის პრეზიდენტის და ტრენინგ სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

სერტიფიკატი გამოიგზავნება როგორც კი ორივე ადამიანის ხელმოწერა იქნება ზედ. ჩვეულებრივ ეს ხდება ტრენინგ სტანდარტების ინსტიტუტის გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში.

ახლად აკრედიტებული ინსტიტუტის შესახებ ანონსი გაკეთდება საინფორმაციო ბიულეტენში და ეგთა-ის ვებ გვერდზე.

ინსტიტუტში ვიზიტი

1. ვიზიტი უნდა მომზადდეს შემფასებლების მიერ წერილობითი ფორმით. მათ უნდა ჩამოაყალიბონ ის კითხვები და თემები რომელიც განხილული იქნება ინსტიტუტის ლიდერებთან.

2. ინსტიტუტი სთავაზობს სამუშაო დღის გრაფიკს. ინსტიტუტი აძლევს პროგრამის მიმოხილვას, დეტალურ ფილოსოფიას, ძლიერ მხარეებს და იმ მხარეებს, რომელიც საჭიროებს მუშაობას.

ვიზიტორების კომიტეტს მანამდე წაკითხული უნდა ჰქონდეთ ყველა ინფორმაცია, რაც უზრუნველყო ინსტიტუტმა.

ვიზიტორების კომიტეტი უძღვება შეხვედრებს.

რა თქმა უნდა არის კითხვები და დისკუსია ადგილობრივ მდგომარეობასა და გამოსავლებზე.

ინსტიტუტი ზრუნავს შეხვედრის ჩანაწერების შესახებ.

ისინი თან დაერთვება საბოლოო ანგარიშს (2 საათი).

3. შემფასებლები ელაპარაკებიან ტრენერებს, ზედამხედველებს და პერსონალურ თერაპევტებს. სულ მცირე 3 მათგანს მაინც. (1, 5 საათი).

4. შემფასებლები ესაუბრებიან სტუდენტებს სულ მცირე ერთი სტუდენტ ერთი ტრენინგ ჯგუფიდან. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტის დირექტორი ან ტრენერები არ ესწრებოდნენ ამ შეხვედრებს (1,5 საათი)

5. შემაჯამებელი შეხვედრა ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან სადაც ვიზიტორები უკუკავშირს აკეთებენ ინსტიტუტთან და განიხილავენ რეკომენდაციებს და /ან სხვა პირობებს (1 საათი)

ლანჩის და ყავის შესვენების ჩათვლით ეს არის სრული სამუშაო დღე

დამატება IV

კითხვარი გემტალტთერაპიის ეროვნული ორგანიზაციებისთვის (გთეო)

გთეო-ს რომელსაც სურს რომ იყო ეგთა-ის მიერ აკრედიტებული, უნდა გამოგზავნოს აკრედიტაციის მოთხოვა ეგთა-ის ოფისში, შემდეგი დოკუმენტებით, გთეო-ის თავმჯდომარის საყურადღებოდ:

1. სტატუსი და რეგულაცია (ქვეყნის ენაზე და ინგლისურად);

2. ფორმალური ინფორმაცია, როგორცაა საბჭოს წევრების მისამართი (მათ შორის, ტელეფონი, ფაქსი და იმეილი) ეგთა-ის წარმომადგენლის მისამართი, წევრობის კრიტერიუმები (სხვადასხვა კატეგორიები, საჭირო საბაზისო განათლება და გემტალტში მიღებული განათლება); წევრების რაოდენობა; ეგთა-ის დონეზე კვალიფიციური წევრების სია და რაოდენობა.

3. ორგანიზაციის სტრუქტურის მიმოხილვა თავისი განმარტებებით (ინგლისურად)

4. ეთიკის კოდექსი, საჩივრები, და გასაჩივრების პროცედურები ქვეყნის ენაზე და ინგლისურად. ეთიკის კოდექსი, საჩივრები, და გასაჩივრების პროცედურები შეთავსებადი უნდა იყოს ეგთა-სთან. ეს შემოწმდება ეგთა-ის ეთიკის კომიტეტის მიერ.

5. იმ ტრენინგ ინსტიტუტების სია რომელიც კავშირშია გთეო-სთან, ასევე იმ პროფესიული ინსტიტუტების და ორგანიზაციების (ეროვნული და საერთაშორისო)სია, რომელთანაც თანამშრომლობს გთეო.

6. გონებრივი ჯანმრთელობის სფეროში კონტაქტები სხვა ორგანიზაციებთან.

7. ფული: ფინანსური ანგარიში, წევრობის გადასახადი, თერაპიის და საკონსულტაციო საათის რეკომენდირებული ტარიფი.

გთეო –ის აკრედიტაციისთვის არ არის საჭირო დამატებით თანხა, გარდა წლიური წევრობის თანხისა, ეგთა-ის საბჭო გადაწყვეტს აკრედიტაციას.

დამტკიცებულია ეგთა-ის წევრების შეხვედრაზე

პრაღა, 8 ნოემბერი, 2003 წელი

ცვლილებები დამტკიცებულია ეგთა-ის წევრების შეხვედრაზე

ლონდონი, 15 სექტემბერი, 2005 წელი

ცვლილებები დამტკიცებულია ეგთა-ის წევრების შეხვედრაზე

ბელგრადი, 13 სექტემბერი, 2008 წელი